ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №32
2013 წლის 8 ნოემბერი

ქ. ბორჯომი

„საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საკრებულოს 2011 წლის 11 ნოემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საკრებულოს 2011 წლის 11 ნოემბრის №28 დადგენილებაში (სსმ, სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.139.016042, ძალაში შესვლის თარიღი - 01/11/2011).

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 18 ოქტომბრის №30 დადგენილებით შეტანილ ცვლილებაში (სარეგისტრაციო კოდი 190040000.35.139.016103 ძალაში შესვლის თარიღი 01/10/2013) სიტყვები „დადგენილებით დამტკიცებულ დანართ №1-ს დაემატოს მე-6 ლოტი" - შეიცვალოს სიტყვებით - „დადგენილებით დამტკიცებულ დანართ №1-ს დაემატოს მე-4 ლოტი" და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4	საკრებულოს წევრი - საკრებულოს არათანამდებობის პირი (მაღალმთიანი ზონა)	500

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2013 წლის 1 ოქტომბრიდან.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ქურდაძე**